# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№101 (1611)

16-17 ოქტომბერი, 1997 წელი

## კორესპონდენტი:
## მართლა იცოდით შევარდნაძეზე მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ?

## თემურ მასხულია:
# ერთი მითხარით, ეს ვინ არ იცოდა?



იხ. მესამე გვერდი

# თუ იცოდით, მე მიყურებდით?



## რაკეტებიდან გადმოღვრილი საწვავი აჯამეთის ტყესა და დედოფლისწყაროს წამლავდა

სარაკეტო საწვავის კომპონენტები დიდი ხნის განმავლობაში წამლავდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებს, კერძოდ კი ანაკლიას, მერიას, კოჯორს, დედოფლისწყაროს, გუდაუთას, ბიჭვინთას, სოხუმს, აგუძერას, სუფსას, ფოთს, კოპიტნარსა და სხვა, – უთხრა პრაიმ-ნიუს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა გურამ ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საქართველოს მოსახლეობას დღესაც ემუქრება საფრთხე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უკვე შექმნილია კომისია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნინო ჩხობაძის ხელმძღვანელობით, რომლის პირველი შეკრება მომავალ კვირაშია დაგეგმილი.

რუსეთის სამხედრო ბაზის ქიმიური ნაწილების საწყობში სარაკეტო დანადგარებიდან გადმოღვრილი საწვავი აჯამეთის ტყესა და დედოფლისწყაროს რომ წამლავდა, დიდი ხნის ცნობილი ამბავია, – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ნოდარ ნათაძემ.

ნიკოლაიშვილის თქმით, საქართველოს პარლამენტმა ერთი თვის წინ სწორედ ამ კომპონენტების განეიტრალებასთან დაკავშირებით მოაწერა ხელი ხელშეკრულებას აშშ-სთან „მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების გამორიცხვისა და თავდაცვისა და სამხედრო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ“. (პრაიმ-ნიუსი)



## „თბილისის მერია 21-ე საუკუნეში მეტროთი აპირებს შესვლას“

განაცხადა გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის გადაუდებელ და პერსპექტიულ ღონისძიებათა განხილვის დროს.

როგორც „იფრინდა“-სათვის გახდა ცნობილი, მზად არის სპეციალური ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს 2000 წლისათვის მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზზე ორი სადგურის, ასევე ჭაზისუბნის ხაზის მშენებლობის დასრულებასა და ექსპლუატაციაში გაშვებას. ამისათვის კი ცენტრალური ბიუჯეტიდან 1997 წლისათვის გამოყოფილია 2 მლნ. ლარი, 1998 წლისათვის – 3 მლნ. ლარი, 1999 წლისათვის 3 მლნ.300 ათასი ლარი, 2000 წლისათვის – 3 მლნ. 600 ათასი ლარი. გარდა ამისა, იმუშავებს თანადაფინანსების სისტემა, რომლის დროსაც, მარტო თბილისის ბიუჯეტიდან, აღნიშნული მეტროსადგურების მშენებლობას ყოველწლიურად ორ-ორი მლნ.ლარი დაემატება. არის წინადადებები უცხოელი პარტნიორების ჩართვის თაობაზეც, რაშიც, განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ იაპონიისა და იტალიის გარკვეული წრეები. (იფრინდა)

## „სპირტი არ არის საქართველოს პრობლემა“

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მოისმინეს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის თ.აბულაძის ინფორმაცია, ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დღეისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ.

როგორც ინფორმაციიდან გაირკვა, ტერმინალებში გადანაწილებულია საზღვრიდან უკან დაბრუნებული 50 ათას ტონამდე სპირტი. იმისათვის, რათა ამ პრობლემამ არ მიიღოს არასასურველი მიმართულება, მის მოსაგვარებლად მზადდება სპეციალური სქემა და სისტემა.

როგორც ცნობილია, რუსეთმა მოითხოვა სპირტშზიდების გატარება მხოლოდ სპეციალური შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების საფუძველზე. თუმცაღა, აღნიშნული პირობის დაცვით, სპირტით დატვირთული სამოცამდე ცისტერნა კვლავ არ გაატარეს და უკან დაბრუნებული ტვირთი, ისევ ტერმინალებში გადანაწილდა. „ეს არ არის საქართველოს პრობლემა. ეს პრობლემაა მიმღები ქვეყნისა და იმ ფირმებისა და კერძო პირების, რომლებიც სპირტის ბიზნესით არიან დაკავებულნი“ – განაცხადა თ.აბულაძემ. (იფრინდა)

## „ესაა ომი შევარდნაძის მზის ქვეშ ყოფნაზე“

*დაუჭერს თუ არა „სახალხო ფრაქცია“ მხარს ვახტანგ რჩეულიშვილს შევარდნაძისა, ან, უფრო კონკრეტულად, „მოქალაქეთა კავშირის“ წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოში, პრეზიდენტის სმკ-ის თავმჯდომარედ ყოფნა-არყოფნის თაობაზე? – ამ კითხვით მიმართა გეა-ს კორესპონდენტმა „სახალხო ფრაქციის“ თავმჯდომარეს, მამუკა გიორგაძეს, რომელმაც განაცხადა:*

– „სახალხო ფრაქცია“ შევარდნაძისთვის ბრძოლაში არ მონაწილეობს, რადგან საქმე ამ შემთხვევაში ეხება არა კონსტიტუციური ნორმების დაცვას, არამედ პრეზიდენტის თავისთვის დასაკუთრებას. შევარდნაძესთან ბრძოლაში მე „უკვდავი კაშჩეი“ მახსენდება, რომლის ძალასაც ხან მტრედის გულში ეძებენ, ხან კვერცხში. დღეს თითქმის ყველა იმისთვის იბრძვის, რომ როგორმე დაეუფლოს ამ ძალას, რათა გახდეს ფავორიტი პრეზიდენტის კარზე. ზოგი აშკარა ბრძოლას აწარმოებს, ზოგი ფარულს, მათ რიცხვს მიეკუთვნება ვახტანგ რჩეულიშვილიც. ჩვენ მას მხარს არ დავუჭერთ, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ ესაა ომი შევარდნაძის მზის ქვეშ ყოფნაზე. სწორედ ამის გამო გადგა განზე ფრაქცია „სახალხო“. არის მეორე დეტალიც: ჩვენ შევთავაზეთ რჩეულიშვილს, მას ხელი მოეწერა პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის არა მხოლოდ ამ, არამედ სხვა ფაქტებზეც, მაგალითად საგადასახადო კოდექსზე, რომლითაც შევარდნაძემ ექსპერიმენტი წამოიწყო თამბაქოს საკითხზე. თუ რჩეულიშვილი მიიღებდა ჩვენს წინადადებას, „სახალხო ფრაქცია“ მზად იყო მხარი დაეჭირა მისთვის სარჩელის აღძვრის თაობაზე, მაგრამ მან არ გაიზიარა ეს შეთავაზება.

*– ბატონო მამუკა, როგორია თქვენი პროგნოზი, სარჩელის შეტანის შემთხვევაში მოიგებს ვახტანგ რჩეულიშვილი, თუ წააგებს?*

– გამორიცხული არაა, რომ შევარდნაძემ, როგორც „ერის მამამ“ განაცხადოს, რომ თუ ხალხის ნება იქნება, მე განზე გავდგებიო. რა იცით..

*– ხომ არ ფიქრობთ, რომ რჩეულიშვილის განცხადება ისევ შევარდნაძისგან მოდიოდეს, იქნებ მართლაც დაიღალა პრეზიდენტი „თავისი მოქალაქეებით“, როგორც ამას სმკ-ის ოპონენტები აცხადებენ და რჩეულიშვილი მხოლოდ მის დაკვეთას ასრულებს?*

– შევარდნაძე არაა ის ადამიანი, უშუალო მითითება რომ მიეცა ვინმესთვის, მისი სტილი სხვანაირია. შესაძლოა რჩეულიშვილმა შესთავაზა მას ეს აზრი და პრეზიდენტმა მიუგო, რომ არაა ურიგო წინადადება, როგორც ეს მას ბევრჯერ გაუკეთებია. საქმე კი იმაშია, რომ ყველა სკანდალი, რომელსაც ჩვენს საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, ისევ ხელისუფლების სათავეებიდან მოდის, იმ მიზნით, რომ ამ სკანდალებით ხალხს დაავიწყოს, სადაა მისი უბედურების სათავე, დაავიწყოს, რომ მთავრობა ვერ მართავს სახელმწიფოს... ეს შევარდნაძის პოლიტიკური ფილოსოფიაა. რაც შეეხება ამ ახალ ბრძოლას, იგი ერთ თვეს მაინც გასტანს. (გეა)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმერეთის გუბერნატორი არარეგისტრირებული არაყი „კრისტალისა“ და ფათოღლის ფქვილის წინააღმდეგ

თემურ შაშიაშვილი სავაჭრო ქსელში აღურიცხავი პროდუქციის შემოსვლას ებრძვის, მანვე მოგვაწოდა რამდენიმე ფაქტი: არარეგისტრირებულია არაყი „კრისტალი“, ფათოღლის ფქვილი სხვა მარკის ფქვილის სახით რეგისტრირებული შემოდის.

„პურის და საწვავის აღურიცხაობამ აპოგეას მიაღწია“ – განაცხადა შაშიაშვილმა და ქვეყანაში ერთიანი საგადასახადო რეჟიმის დამყარება მოითხოვა: „თუ კორუფციას ვებრძვით, აღრიცხვა უნდა მოწესრიგდეს“ – აღნიშნა მან და ჟურნალისტებს აცნობა, რომ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია არარეგისტრირებული პროდუქციის გამოვლენა. აღურიცხაობა იმდენად მძიმე დარტყმას აყენებს ბიუჯეტს, რომ მის აღმოსაფხვრელად ბატონი გუბერნატორი მზადაა ნებისმიერ ძალას დაუპირისპირდეს. (გეა)

## „მოვითხოვ სინდისის ტუსაღის კ.შუკვანის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას“

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გ.კერვალიშვილმა „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში უკმაყოფილება გამოთქვა 13 ოქტომბერს, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების მიერ, მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მ.კოსტავას საფლავზე მისულ საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრის კლარა შუკვანის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, კ.შუკვანს ბრალი დასდეს 24 აგვისტოს სასტუმრო „ივერია“-სთან გამართულ მიტინგზე საქართველოს პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი ლოზუნგის გატანის გამო.

გ.კერვალიშვილი თვლის, რომ კ.შუკვანი უკანონოდ არის დაპატიმრებული, რადგან მის ქმედებაში არ არის კრიმინალი. „ეს არის კერძო ბრალდების საქმე და ამ შემთხვევაში კი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდება დაზარალებულის საჩივრის შედეგად, მას შემდეგ, რაც დაზარალებული დაიკითხება“ – განუცხადა „იფრინდა“-ს გ.კერვალიშვილმა. მისი თქმით, მათთვის ცნობილია, რომ ე.შევარდნაძეს კერძო საჩივრით არ მიუმართავს პროკურატურისათვის. „მოვითხოვ სინდისის ტუსაღის, კ.შუკვანის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას“ – განაცხადა დასასრულს გ.კერვალიშვილმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით „იფრინდა“-ს კორესპონდენტი დაუკავშირდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრესცენტრს, სადაც განუცხადეს, რომ ამ ინფორმაციას პრეს-ცენტრი არ ფლობს. (იფრინდა)

## რუსი ექსპერტები საქართველოში ინვენტარიზაციას ჩაატარებენ

საქართველოში იმყოფება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია მთავარი ჯავშანსატანკო სამმართველოს უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ სერგეი მაევის ხელმძღვანელობით. ამის შესახებ „იფრინდა“-ს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში აცნობეს. დელეგაციის შემადგენლობაშია 18 სამხედრო პირი, მათ შორის 5 პოლკოვნიკისაგან შემდგარი ექსპერტთა ჯგუფი.

გაიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვ.ნადიბაიძისა და ს.მაევის პირისპირ შეხვედრა.

დელეგაციის ვიზიტის უმთავრესი მიზანია საქართველოში რუსეთის კუთვნილი ობიექტების აღწერა. რუსეთის ბაზების შემცირების გამო რუსი ექსპერტები საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეებთან და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად 2 დღის განმავლობაში ჩაატარებენ სამხედრო ობიექტების რევიზიას.

როგორც „იფრინდა“-ს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, დათვალიერება მოხდება თბილისში, რადგან ძირითადი ბაზები აქ არის განლაგებული. ექსპერტები დაათვალიერებენ ზურგის ობიექტებს, ტანკსარემონტო ქარხანას და სხვა.

საექსპერტო ჯგუფი თავის წინადადებებს წარუდგენს რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეევს, რის შემდეგაც მოსკოვში გადაწყდება საკითხი, თუ რა გადმოეცემა საქართველოს.

მოსალოდნელია რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ს.მაევისა და საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის შეხვედრა.

დელეგაციის ვიზიტი 17 ოქტომბერს დასრულდება. (იფრინდა)

## წლევანდელი ზამთარი მოსახლეობამ ნერვიული დაძაბულობის გარეშე უნდა გაატაროს

„ზამთრის პერიოდში საწვავის პრობლემა მთლიანად მოხსნილი იქნება“ – განაცხადა გუშინდელ მთავრობის სხდომაზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დ.ზუბიტაშვილმა, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ზამთრის სეზონისათვის მზადების საკითხის განხილვისას. მისივე თქმით, აქცენტი მთლიანად გადავა მრეწველობისა და ტრანსპორტის ობიექტების შეუფერხებელ მუშაობაზე, ასევე იმაზე, რომ მოსახლეობამ ნაკლები დანახარჯებითა და ნერვიული დაძაბულობის გარეშე გაატაროს წლევანდელი ზამთარი.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, მ.წ. 9 თვეში, მოხმარებული ელ.ენერგიის საფასურის 66%-ია ამოღებული, ხელფასებიდან და პენსიებიდან დაქვითული თანხების გათვალისწინებით.

როგორც „იფრინდა“-სათვის გახდა ცნობილი, ელ.ენერგიის გადასახადებთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში ე.შევარდნაძე შეხვდება რაიონის პირველ პირებს. (იფრინდა)

## აქა ამბავი აქაბისა, ვეშაპთმმუსვრელისა...

კითხვაზე, რამ გადაარჩინა საქართველო, კიდევ ერთი სწორი პასუხი არსებობს – იუმორის ულევმა ნიჭმა! სხვანაირად, ბოლო წლების კოშმარული ზმანებების მონელება ძალზედ გაგვიჭირდებოდა. გავბედავ და ახლაც შევეცდები ფრიად სერიოზულ თემაზე ნახევრადხუმრობით მოგითხროთ.

ჩემი „შავ-ბნელი“ იუმორის სკივრში, ყოვლად უხამსი, მაგრამ გულიდან ამოხეთქილი სარეკლამო აბრა მეგულებოდა, სათაურით: „ვეძებ კიტს“, რასაც წინასწარი ბოდიშის მოხდით და სათქმელთან დაახლოების მიზნით შევთავაზებ მკითხველს: „ვარ 30 წლის „წყალსახსარიმედგადაწურული“ ახალგაზრდა ქალი. ჩემს ინტელიგენტ (ე.ი. უფულო) ქმარს, სოციალიზმში „ჩარჩენილ“ ქმრის მოვალეობის შემსრულებელს და ორ, მევალეებისგან „გადაგდებულ“ საყვარელს (კომუნისტური ჟარგონია) სიამოვნებით გადავცვლიდი ერთ სოლიდურ „მობილურიზებულ“ სპონსორზე (თუნდაც ნავთის სუნით გაჟღენთილზე). დამწყები ბიზნესმენები არ შემომთავაზოთ, უძღები არ გახლავართ, უბრალოდ, პრობლემები მაქვს ბევრი, დამწყები მათ ვერ აუვა – მე ბიზნესის „კიტი“ მესაჭიროება!“

მაშ ასე, ვეძებთ „კიტს“!

„კიტები“ კი, მოგეხსენებათ, ღრმად ცურავენ...

ვეშაპზე მონადირე იმ ქალბატონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე კი გადავაწყდი მას მოულოდნელად ჩემი უმადური, აუნაზღაურებადი და ფრიად სახიფათო პროფესიის წყალობით – დაჭრილი იყო და თავად წამოტივტივდა...

თუმცა, რა გასაკვირია! ამ ბოლო დროს, კუჭგამხმარ ჟურნალისტთა კორპუსი, იმის მაგივრად, კატასტროფამდე მისული საზოგადოების ინტერესებს იცავდეს ბიზნესმენთან, მეწარმეთა, „წითელ დირექტორისა“ და „ზღვისფერ ნომენკლატორთა“ გოდების მოსმენით, მათი დაცვის და „ბიზნესჭამიაწველია“ სტრუქტურებიდან დახსნით არის დაკავებული.

დღე ერთია და ლამის ყოველი კვირის ბოლოს თითო ასეთს მარტო „ღარიბაშვილის კანტორა“ უშვებს, რომელსაც ჩემი „შავ-ბნელი“ იუმორის ძირშიწასაჭრელმა ინსტრუმენტმა წაუტლიკინა: „შენ იმ ხალხს უშვებ, ვისი დაჭერაც არავის უფიქრია, თორემ როგორმე იმაზე უკეთეს არგუმენტს გამოძებნიდნენ, ვიდრე საკუთარი მძღოლისთვის სამახსოვრო წარწერიანი რევოლვერის ჩუქებაა-თქო!“

დაჭერა არა, მაშ რა!

„მოწველა“, ბატონებო, „მოწველა“ დაგვავიწყდა! საშველს არ გვაძლევს ჩვენი „კოლმეურნული“ წარსული. რძეგამშრალ „ფაქიზოს“ (სახელმწიფოს, რაღასაკვირველია) რაღას გამორჩები და... ინერციით გრძელდება სოცშეჯიბრი წველადობაში, უბრალოდ, საზომი ერთეული – ლიტრები შეიცვალა დოლარებით! ამჯერად ბიზნესმენები და ბუნებაში თითქმის აღარ არსებული ქართველი მეწარმეები არიან საწველ „აპარატებზე“ შეერთებული, ჯერ

## კორესპონდენტი: მართლა იცოდით შევარდნაძეზე მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ?
## თემურ მასხულია:
# ერთი მითხარით, ეს ვინ არ იცოდა?

*გაზეთ „საქართველო“-ს წინა ნომერში გამოქვეყნდა პატიმრობიდან თავდებით გამოშვებული ბიზნესმენის, ბატონ თემურ მასხულიას საიდუმლო მიმართვა პრეზიდენტისადმი, რომელიც თავის დროზე საპატიმროში იქნა დაწერილი და გაგზავნილი შევარდნაძისადმი. მასალა სენსაციურია და ჩვენ მაშინ მკითხველს ვპირდებოდით, რომ თ.მასხულია კომენტარებს გაუკეთებდა ამ მიმართვას. ჩვენ მას ვესაუბრეთ. საუბარი გასცდა კომენტარის ფარგლებს და შეიძლება ითქვას, საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე პროცესების ერთგვარ ანალიზად ჩამოყალიბდა. ბატონ თემურის მონათხრობით, ბევრ ისეთ რამეს აეხადა ფარდა, რომ შეუძლებელია მკითხველი გაოგნებული და შეძრწუნებული არ დარჩეს.*

*ეს საუბარი, ალბათ, ვრცელი გამოვა, რადგან საკითხთა სპექტრია საკმაოდ მრავალფეროვანი. ამას ემატება ის ფართო დაინტერესება, რასაც მთელი საქართველოს მოსახლეობა იჩენს ამ ფაქტისადმი, რადგან აქ საქმე ეხება არა კონკრეტულად ერთი ბიზნესმენის დაპატიმრებას, არამედ მრავალი ბნელით მოცული საკითხისათვის საბურველის ჩამოხსნას, რაც დღემდე უცნობი იყო ქართული საზოგადოებრიობისათვის.*



გონს ვერმოსულ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან ერთად.

მაგრამ, მოდით, ვეშაპებს დავუბრუნდეთ, რომელთა წყალობით ჩემი დიდი ხნის საწუხარი გაგიზიარეთ, იმ ვეშაპებს, რომლებიც ბუნებაში იშვიათობას წარმოადგენენ და თუნდაც ამიტომ საჭიროებენ დაცვას. რაც შემეხება მე, ჩემი ამბავი რომ ვიცი, ხვალ შეიძლება ის ვეშაპიც დავიცვა, უშიშრად რომ ცურავს „ნებადართულ წყლებში“ და ლუკმას „უპროცენტებს“ თანამოძმეებს. ცოტანი ვართ და იმიტომ, მე სათვალავში ყველა დამაკლდება! დაცვით დავიცავ, რადგან ჯერ ვერ გამჯდარა ყველა ჩვენგანში კანონის უზენაესობის შეგრძნება. კანონებს რომ წერენ, ვიცით, მაგრამ თუ ჩვენთვის წერენ – ეს არა! დავიცავ, მაგრამ პასუხს კი მოვთხოვ, მით უფრო, თუ საქმე ჩემს მუდამ ღალატიან, გზაკვალარეულ სამშობლოს ინტერესებს შეეხება.

მაშ, ასე, ვიწყებ „ვეშაპებზე ნადირობას“. უნდა ვიჩქარო, რადგან ხანდახან უშიშარსაც იპყრობს შიში და არ არის გამორიცხული, რომ ვეშაპები შერიგდნენ და ვინ იცის, რამდენ საიდუმლოსთან ერთად ჩაყვინთონ ოკეანის სიღრმეში, წადი და ეძებე...

ჩემი შიში რესპონდენტს, ბატონ თემურ მასხულიას გავუზიარე...

*– ბატონო თემურ, კვირაიას, რომელმაც თქვენ საჯაროდ, პარლამენტის ტრიბუნიდან 29 აგვისტოს ტერაქტში და ვუდროფის მკვლელობაში დაგდოთ ბრალი, თქვენი საქმის ძიების დროს ამ საკითხებში ვერანაირი კომპრომატი ვერ უპოვია და განუცხადებია, რომ თქვენი თავი მის „ასაფეთქებლად“ იყო „შეგდებული“ უშიშროებაში. ეს თქვენ პრესკონფერენციაზე განაცხადეთ. იცის რა თქვენი სერიოზული გადაწყვეტილება ამ სამსახურის და პირადად მის მიმართ, თქვენს მიერ სარჩელის აღძვრის თაობაზე, ავთანდილ იოსელიანმა გართულებების თავიდან აცილების მიზნით შერიგება რომ შემოგთავაზოთ, შეურიგდებით?*

– არა, არავითარ შემთხვევაში! მე ბოლომდე ბრძოლას ვაპირებ, რათა ვამხილო ისინი. ასეთია ჩემი შინაგანი განწყობა, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ ძიების პროცესში მე მქონდა სამშობლოს ღალატის ბრალდება წაყენებული. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც შოთა კვირაიას, არც ავთანდილ იოსელიანს და არც თემურ გრძელიძეს არ ესმით სიტყვა „სამშობლოს“ მნიშვნელობა, თორემ სულში ხელს არ მომიფათურებდნენ, არ გამამწარებდნენ... წარმოგიდგენიათ, შვილიშვილი რომ იტყვის ბაბუაზე; სამშობლოს მოღალატეაო... ეს არის საშინელი უზნეობა, რომლის იქით აღარაფერი არსებობს. 35 წლის კაცი ვარ და ჯერ სულში ასე არავინ ჩამძვრომია. პრობლემები ვისგან არ მქონია, პროკურატურისაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, მაგრამ... ასეც მიწერია მოსამართლისთვის წარდგენილ სარჩელში, რომ მე ვარ გამწარებული კაცი და ამ შემთხვევაში გამოვრიცხავ ყველანაირი ზნეობრივი ნორმების დაცვას-თქო. თუმცა, ამ ეტაპზე მე მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას ვახდენ, სერიოზული ბრალდებები კი წინაა. თუ მათ ჰგონიათ, რომ მე მხოლოდ ცილისწამების ბრალდებას ვუყენებ მათ და არხეინად არიან, ძალიან შემცდარან. ციხეში ყოფნამ მე რეალისტი გამხადა. ეს სამსახური, რომელიც ყველა სახელმწიფოში იმიტომაა შექმნილი, რომ მის დასაყრდენს, საჭეს წარმოადგენდეს, განსაზღვრავდეს ქვეყნის საშინაო პოლიტიკას და საგარეო კურსს, რომლის მიხედვით მერე სახელმწიფოს ლიდერი წარმართავს სახელმწიფო მანქანას, ფაქტიურად, წლების განმავლობაში მხოლოდ საკუთარი ინტერესების მოგვარების, ავანტიურიზმისა და უზნეობის ბუდედ გადაიქცა. აქედან გამომდინარეა შემდგომ ყველა ის მანკიერება, რაც ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს.

*– ბატონო თემურ, თავიდანვე განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს დოკუმენტი, რომელიც გაზეთ „საქართველო“-ს წინა ნომერში დაიბეჭდა?*

– ეს განცხადება იმ ოპერატიული ინფორმაციების საფუძველზეა შედგენილი, რომელიც გააჩნია ამჟამინდელ კონტრდაზვერვის სამმართველოს. რაც შეეხება მთლიან ტექსტს, იქ ჩემი ფანტაზიის უნარიცაა გამოყენებული. ეს ინფორმაციები მე, პირადად, კონტრდაზვერვის ამჟამინდელი სამმართველოს უფროსმა კახა თოფურიამ გამაცნო.

*– ამ დოკუმენტების დადასტურების სანაცვლოდ თქვენ გთავაზობდნენ...*

– თავისუფლებას. დასაწყისში მათი მიზანი იყო ჩემი საქმიანობა, ბიზნესი მოხვედრილიყო მათი გავლენის ქვეშ და გამხდარიყო მართვადი, ჩემი ფართო საქმიანი ურთიერთობები კი მათ სასარგებლოდ გამომეყენებინა. ფაქტიურად, უნდა მეწარმოებინა აგენტურული მუშაობა, რაც რუს სამხედროებზე, კერძოდ კი, გრუ-ს თანამშრომლებზე მათთვის ინფორმაციის მოწოდებაში გამოიხატებოდა.

*– კონკრეტულად წილი გთხოვეს და არ მიეცით, თუ ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა?*

– საქმე მანამდე არ მისულა, მე არ მიმიყვანია საუბარი აქამდე. იგი იქ წყდებოდა ყოველთვის, როცა მე ჩვენი საუბრის ოფიციალურ დაფიქსირებას მოვითხოვდი. მე ვიცოდი, როგორ უნდა მემოქმედა, რომ თავი დამეცვა და მათ ასეთი ვარიანტი შევთავაზე, რომ ჩემი მათთან თანამშრომლობა რაიმე ოფიციალური დოკუმენტიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო.

*– თქვენ კატეგორიულად აცხადებთ, რომ ბიზნესმენი არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე სადაზვერვო სამმართველოსთან...*

– მე პრინციპულად ვსვამ ამ საკითხს და ვურჩევ ყველა ბიზნესმენს, კარგად იფიქრონ, ვიდრე რომელიმე ძალოვანი სამსახურის „კრიშას“ დაიდგამენ თავზე. ეს მათ კომპრომეტაციას უკეთებს უცხოელი პარტნიორების თვალში. ის უცხოელი, რომელიც დაინტერესებულია ფინანსური თვალსაზრისით შემოვიდეს საქართველოში, არ დაამყარებს ურთიერთობას კაცთან, რომელიც ასეთ სტრუქტურებთან არის დაკავშირებული. თავად მას კი ეს პრობლემების მეტს არაფერს მოუტანს. მე იქ მინახავს ბიზნესმენები შსს-ს „კრიშით“, რომლებსაც უშიშროებაში მოხვედრილთ ეს „კრიშა“ ხელიდან ეცლებოდათ და, პირიქით, ვიცი მათ სახურავს შეფარებული ბიზნესმენები, ერთგან ნაშოვნს მეორეგან რომ აბარებდნენ. სწორედ ეს მოიმოქმედა კვირაიამ, როცა პარლამენტის სხდომაზე საჯაროდ დამდო ბრალი – უცხოელი პარტნიორების თვალში ჩემი კომპრომეტაცია მოახდინა.

*– თქვენ საპატიმროდან თავდებში ხართ გამოშვებული და თქვენთვის „ძლიერთა ამა ქვეყნის“ მომდურება, მათ წინააღმდეგ წასვლა, ამ ეტაპზე მაინც, წამგებიანია, მიუხედავად ამისა, მიდიხართ ამ რისკზე, თანახმა ხართ ილაპარაკოთ, რაც იცით. მოტივი გასაგებია – ბრალდება ძალზე მძიმეა, დანაკარგი უფრო მეტი – მორალურიც და... დოლარებში გამოხატულიც, თქვენს ბიზნესს ვგულისხმობ!*

– მე ფულის პრობლემა არასოდეს მქონია, მამაჩემი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს იყო საკმაოდ უზრუნველყოფილი.

ჩემი სიმამრი ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მთავარი ინჟინერი

გაგრძელება მე-4 გვ.

## შაშიაშვილი შთაბეჭდილებას გვიზიარებს

„რაც ყულევში ვნახე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა" – განაცხადა თემურ შაშიაშვილმა პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით: „მართალია, სხვადასხვა ტრიბუნიდან ამბობენ, არავის ვაშინებთო, მაგრამ ვისაც საჭიროა, კი უნდა შეეშინდეს. მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველოში არსებობს სერიოზული ჯარი, ხოლო იმ ქვეყანაში, სადაც სერიოზული ჯარია, ომი არ არის".

იმერეთის გუბერნატორი ყულევში მხოლოდ საბრძოლო მანევრების სანახავად არ ჩასულა. მთავრობის წარმომადგენელთა იქ ყოფნა მან რიგი საკითხების გადასაწყვეტად გამოიყენა. შაშიაშვილს, რომელსაც პოლიტიზირებული და მონური ქვეშევრდომული გრძნობის მქონე პოლიციის უფროსები არ სჭირდება, შინაგან საქმეთა მინისტრმა აღუთქვა, რომ ამ საკითხში ხელს არ შეუშლის.

ახლა საქმე იმერეთის სამხარე პოლიციის უფროსზეა, რომელსაც, რწმუნებულის თქმით, თუ სურვილი აქვს და აწყობს, შეუძლია ყველა რაიონში პოლიციის უფროსად წესიერი კაცი ჰყავდეს, ხოლო იქ, სადაც წესიერი კაცი იქნება უფროსი, ბევრი რამ ავტომატურად გაკეთდება. (ბეა)

## იქმნება დიდი პროგრამა

ბეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს ელჩმა საფრანგეთში, აკადემიკოსმა გოჩა ჩოგოვაძემ განაცხადა, რომ სამედიცინო სფეროში ქართულ-ფრანგული ურთიერთობებისათვის იქმნება ერთი დიდი პროგრამა, რომელსაც სათავეში ლაბორატორია „სერვიე", დოქტორი ფილიპ მოსტი და სამედიცინო საუნივერსიტეტო ცენტრების პრეზიდენტი, პროფესორი ჟან კლოდ ეტიენი ჩაუდგებიან. პროგრამა სასწავლებლების დაახლოებას ითვალისწინებს.

მისი თქმით, პირველი ასეთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია: საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ხელშეკრულება დადო რეიმსის უნივერსიტეტთან. ხელშეკრულებები 2–3 სხვა სასწავლებელთანაც გაფორმდება. მოხდება პროფესორების და სტუდენტების ურთიერთგაცვლა.

ელჩის თქმით, ფრანგულმა მხარემ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადასცა რადიოლოგიური ცენტრი. ასევე ჩამოსატანად გამზადებულია ძალიან კარგი სამედიცინო ბიბლიოთეკა ფრანგულ ენაზე.

პროგრამით გათვალისწინებულია ახალგაზრდა მედიკოსთა სტაჟირება საფრანგეთის სხვადასხვა ჰოსპიტალში. ელჩის თქმით, რამდენიმე ექიმი უკვე გადის სტაჟირებას. დაგეგმილია უფასო ჟურნალის გამოცემა მედიკოსებისათვის, რომელიც ჯერჯერობით ქალთა ჯანმრთელობაზე იქნება ორიენტირებული. ჩოგოვაძის თქმით, ასეთი ჟურნალი საქართველოში დოქტორ მოსტის ხელმძღვანელობით გამოდის. იმედი აქვთ, რომ ჟურნალის ფინანსური პრობლემების მოგვარებაში „სერვიეს" ლაბორატორია დაეხმარებათ. გარდა ამისა, როგორც საუბრისას ელჩმა განაცხადა, ლაბორატორია „სერვიე" ფიქრობს, ფრანგ და ქართველ მედიკოსებს შორის ყოველწლიურად მოაწყოს შეხვედრები, სადაც მედიკამენტებით მკურნალობის ყველა სიახლე იქნება განხილული. „ამით ჩვენ ყოველთვის გვეცოდინება, თუ რა დონეზეა ამ მხრივ საფრანგეთი და მთელი ევროპა" – დასძინა ბოლოს ჩოგოვაძემ. (ბეა)

# თემურ მასხულია: ერთი მითხარით, ეს ვინ არ იცოდა?

მესამე გვერდიდან

იყო წლების მანძილზე, ამჟამად ამავე ქარხნის მთავარი ეკონომისტია. ჩემი სიდედრი ქ.რუსთავის საავთიაქო სამმართველოს მმართველის მოადგილე იყო წლების მანძილზე და ქალაქის მთავარი პროვიზორი. ჩემს სიდედრს საკუთარი აფთიაქი აქვს, დედაჩემს საკუთარი მაღაზია, მერე სპეციალობამქონდა ისეთი... ვიდეო რომ შემოვიდა და პალსეკამის ბლოკის დაყენება დაიწყეს საქართველოში, სულ რამდენიმე კაცი აკეთებდა ამას და მათ შორის მეც ვიყავი. 25 წლის ბიჭი ვიყავი, როცა „ვოლგა" ვიყიდე. მე ფულის მიმართ გართულება არასოდეს მქონია, ჩემი გართულება იყო, მქონოდა ავტორიტეტი და ამას საქმეში ჩართული მოწმეებიც ადასტურებენ, რომ მე სულ ვეუბნებოდი მათ, მთავარია მოვიპოვოთ ავტორიტეტი, ფული თავისით მოვა. მაგალითისთვის მოგახსენებთ, ამდენი მილიონი ბრუნვის მქონე ფოთის ერთ-ერთ ფირმა „მედუზა"-ს, რომლის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი მე ვარ, ფინანსთა სამინისტრომ დოკუმენტური რევიზიის ჩატარების შემდეგ 250 დოლარის დარღვევის მეტი ვერაფერი აღმოუჩინა, არადა უშიშროება დიდ იმედებს ამყარებდა ამ რევიზიაზე...

– *თქვენ განცხადებაში წერდით, რომ 1992 წ. უკვე ცნობილი იყო ი.გიორგაძის კავშირი ივანენკოვთან და მის თანამშრომლებთან. ამ დროიდან იგი დანიშნული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს უფროსად, რომ გიორგაძის დანიშვნა საქართველოს უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე კიტოვანთან ივანენკოვის შეთანხმების შემდეგ მოხდა, ე.ი. კიტოვანიც მისი ჯგუფის წევრად არის გამოყვანილი – თქვენ საიდან უნდა გქონოდათ ინფორმაცია გიორგაძის რუსეთის უშიშროებასთან კავშირების შესახებ და მართალია თუ არა, რასაც წერთ ამ განცხადებაში ამის შესახებ?*

– მე უკვე მოგახსენეთ, რომ განცხადებაში მოყვანილი მასალები დაწერილია იმ ოპერატიული ინფორმაციების საფუძველზე, რომლებიც ამჟამინდელ კონტრდაზვერვის სამმართველოს გააჩნია, პლუს ჩემი და კახა თოფურიას ფანტაზიის უნარი.

– *ავთანდილ იოსელიანის ბრალდება, რომ თქვენ გაქვთ ურთიერთობა გრუ-სთან, მარუსინთან... არადა, თქვენ თავად ამბობთ, რომ, როგორც ბიზნესმენს, არანაირ სპეცსამსახურთან ურთიერთობა არ გაწყობთ?*

– გასაგებია თქვენი კითხვა. იოსელიანს უდავოდ სურს ისეთი სურათი დახატოს, თითქოს მარუსინი და მისი სახით გრუ ჩემი „კრიშაა", მაგრამ გამოძიებიდან დადასტურდა, რომ ისინი ჩემი კლიენტები არიან, მე მათ ენერგომატარებლებით ვამარაგებდი. ამაზე არსებობს საბანკო ოპერაციების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები, აგრეთვე ხელშეკრულება და გენშტაბის უფროსის საგარანტიო წერილი, რომელიც ითვალისწინებდა ჯერ მიწოდებას, და შემდეგ, 10 დღის ვადაში, თანხის დაფარვას მათი მხრიდან. ისინი მე ფულს მიხდიდნენ საქონელში, ეს ჩვეულებრივი საქმიანი ურთიერთობა გახლდათ. ჩვენი ანგარიშები შეამოწმეს და ეს დადასტურებულია. რაც შეეხება აგენტობის ბრალდებას, ადამიანს რომ აგენტობა დაუმტკიცო, სულ ცოტა, ინფორმაციის გადაცემის მომენტში უნდა დაიჭირო. უნდა არსებობდეს ამის ნიადაგი და ხელშემწყობი პირობები, ანუ ის უნდა მუშაობდეს ისეთ ადგილას, საიდანაც უნდა გამოჰქონდეს ინფორმაცია, მე კი, მოგეხსენებათ, ჩემი მოღვაწეობის პერიოდში არანაირ სახელმწიფო სტრუქტურასთან შეხება არ მქონია.

გაგრძელება იქნება

# საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი ხულიგნური საქციელისათვის დააკავეს

„ხულიგნობისათვის დააკავეს მიმდინარე წლის 24 აგვისტოდან ძებნაში მყოფი ჰელსინკის კავშირის წევრი კლარა შუკვანი, რომელიც 24 აგვისტოს სასტუმრო „ივერიას" წინ ფრაქცია „აფხაზეთის" მიერ გამართულ მიტინგზე გამოვიდა პლაკატით: „ძირს არძინბას ნახმარი შევარდნაძე", – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შსს სამძებრო დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ ხაჟალიამ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მთაწმინდის რაიონის პოლიციამ იმ დღესვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ, ხაჟალიას ინფორმაციით, მაშინვე ვერ მოხერხდა შუკვანის დაკავება, რადგან იგი მიიმალა.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის გიორგი კერვალიშვილის ინფორმაციით, შუკვანი 13 ოქტომბერს დააკავეს მთაწმინდის პანთეონში მერაბ კოსტავას საფლავზე გასვლისას.

შუკვანის დაკავების ფაქტთან და მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარზე კატეგორიული უარი უთხრა პრაიმ-ნიუსს მთაწმინდის რაიონის პროკურორმა აპოლონ ჯანიაშვილმა.

ამასთან, გიორგი კერვალიშვილი კატეგორიულად მოითხოვს შუკვანის გათავისუფლებას და უკანონოდ მიიჩნევს მისი დაკავების ფაქტს. მისი თქმით, შუკვანს პრეზიდენტის შეურაცხყოფაში ედება ბრალი, თუმცა „ასეთი ბრალდებები მხოლოდ შეურაცხყოფილის პირადი საჩივრის საფუძველზე კეთდება".

კერვალიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ შეუტანია განცხადება პირადი შეურაცხყოფის შესახებ. (პრაიმ-ნიუსი)

# „აუცილებელია ღია პოლიტიკის წარმოება"

მესამე პლენარული კვირაა, რაც პარლამენტის „სახალხო ფრაქცია" სამთავრობო საათზე სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის მოწვევას ითხოვს იმის დასადგენად, თუ რა გეგმები აქვს პრეზიდენტს, რა პროგრამის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს, როდესაც სამთავრობო დელეგაციას ბიზნესმენების მონაწილეობით გზავნის სოხუმში, იღებს აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრს, სერგეი ბაღაპშს და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს, ბორის ბერეზოვსკის.

„მე დიდი შიში მაქვს, რომ ეს ვიზიტები ბერმუდის იმ სამკუთხედს ქმნის, სადაც შეიძლება თვალსა და ხელს შუა დავკარგოთ აფხაზეთი" – აღნიშნა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი კობახიძემ. მისი თქმით, აუცილებელია ღია პოლიტიკის წარმოება, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მართვის სადავეები რუსეთს რჩება ხელში. ამასთან ერთად კობახიძე თვლის, რომ როდესაც სახელმწიფო აფხაზეთის მიმართ აქტიურ პოლიტიკას ვერ აწარმოებს, ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი, თუ არ ჩავთვლით პარტიზანულ მოძრაობას, რჩება აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა. ამის ფონზე პარლამენტის წევრისთვის გაუგებარია, რა ეკონომიკურ ურთიერთობაზე შეიძლება ლაპარაკი. (გეა)

ეროვნული

## ახლა Sida გვესტუმრა

სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის პირველი მოადგილის, გიორგი კალანდაძის საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების შვედური ორგანიზაცია Sida-ს ცენტრალური და აღმოსავლური ევროპის განყოფილების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე საუბარი საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვის ძირითად მიმართულებებსა და სფეროში არსებულ მდგომარეობაზე მიმდინარეობდა. განიხილეს სამინისტროს მიერ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული სხვადასხვა სპეციალური პროგრამები.

შეხვედრის დასასრულს სტუმრებმა ერთიანი პროგრამის მომზადებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, რომელიც ძირითადად უმუშევართა მომზადება-გადამზადებასა და მათ დასაქმებაზე იქნება ორიენტირებული. (ბეა)

## დააკავეს სპილენძის ქურდები

ფოთის სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ფოთის ნავსადგურის გასამხედროებული დაცვის მუშაკი დაზმირ კვირკველია, დემურ კვირკველია და მურმან პაჭკორია. ამის შესახებ „იფრინდა"-ს შსს-ს პრეს-ცენტრში აცნობეს. დაკავებულებმა ფოთის რკინიგზის პარკში, ვაგონ-რეფრეჟერატორიდან მოიპარეს 250 კგ სპილენძის მილები და სადენები.

გამოძიებას აწარმოებს ფოთის სატრანსპორტო პოლიციის საგამოძიებო განყოფილება. (იფრინდა)

## სამმა კაცმა მიიღო დამწვრობა

სამმა ადამიანმა მიიღო სხვადასხვა სახის დამწვრობა თბილისში გასული ღამის განმავლობაში მომხდარი ხანძრების გამო, – აცნობეს პრაიმ-ნიუს საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარ სამმართველოში.

ნაძალადევის რაიონში მომხდარი ხანძრის დროს სახისა და მკერდის სერიოზული დამწვრობები მიიღეს ლალი და ალეკო კორძაძეებმა. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ხანძრის გამომწვევი მიზეზი ის გახდა, რომ კორძაძეებმა ლამფაში ნავთის ჩასხმის დროს ყურადღება არ მიაქციეს იქვე ახლოს ანთებულ სანთელს. მეხანძრეებმა 15 წუთში შეძლეს ხანძრის ლოკალიზება.

კიდევ ერთი ხანძარი მოხდა წყნეთში დილის 4 საათზე, რომელიც ხუთმა სახანძრო მანქანამ 15 წუთში ჩააქრო. ხანძრის დროს კიდურების დამწვრობა მიიღო დათო როსტომაშვილმა. ხანძრის გაჩენის მიზეზები დგინდება.

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოში 52 კაცი დაიღუპა ხანძრების შედეგად, დამწვრობები მიიღო – 66-მა. 1996 წლის ანალოგიურ პერიოდში დაიღუპა 64 და დამწვრობები მიიღო 82-მა კაცმა.

1997 წელს საქართველოში სულ 2393 ხანძარი გაჩნდა, აქედან 711 სახალხო მეურნეობის სექტორში, ხოლო 1362 – საცხოვრებელ სექტორში, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარ სამმართველოში. (პრაიმ-ნიუსი)

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# კონსტანტინე გამსახურდია ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი

### ლაიპციგის უნივერსიტეტი

კენიგსბერგიდან კონსტანტინე ლაიპციგის უნივერსიტეტში გადადის სასწავლებლად. ლაიპციგში შეხვდა ბიძაშვილი თოფურიძე, რომლის მამა მილიონერი იყო და შვილი გერმანიაში მეფურად ატარებდა დროს. ბიძაშვილმა ვერ აიყოლია განსწავლის ჟინით შეპყრობილი კონსტანტინე, შეთავაზებულ დახმარებაზედაც უარს ამბობდა და დედის გამოგზავნილი მოკრძალებული თანხით გაჰქონდა თავი. ცხოვრობდა ვიღაც მეწაღის ბინაში და მთელ დღეებს ატარებდა ლაიპციგის უდიდეს ბიბლიოთეკაში, სადაც ეწაფებოდა გოეთეს შემოქმედებას. გატაცებული იყო ნიცშეთი, სწავლობდა ვუნდტის ფსიქოლოგიას, ერდმანის ლოგიკას. დაინტერესებული იყო შტაინერისა და სვედენბორგის ნაწერებით. ლაიპციგელმა ქართველმა სტუდენტებმა თავიანთი სათვისტომოს თავმჯდომარედაც აირჩიეს, მაგრამ მოუცლელობის გამო ამ საქმეს მალევე ანება თავი. ლაიპციგში კონსტანტინე გაიცნობს ფრანგ სტუდენტს რაიმონ მენიოს, რომელთანაც ერთად იმოგზაურა რეინის ოლქში, შვეიცარიასა და იტალიაში. საერთოდ, განსწავლის წლებში, 1911-1923 წლებში, კონსტანტინემ არაერთხელ იმოგზაურა საფრანგეთში, შვეიცარიაში, ინგლისში, ავსტრიაში, სკანდინავიაში, ესპანეთში, ბალკანეთსა და უნგრეთში. ევროპული ენების ცოდნა მწერალს საშუალებას აძლევდა შემოევლო მთელი ევროპა და გასცნობოდა ევროპულ ცივილიზაციას. მისი ფართო თვალსაწიერი და მოგზაურობის მასშტაბები აისახა მწერლის პირველ სქელტანიან რომანში – „დიონისოს ღიმილი“. უკვე კარგა დრო გასულიყო, რაც კონსტანტინე უცხოეთში იმყოფებოდა. მოეძალა ნოსტალგია. ვარშავის გავლით საქართველოში დაბრუნდა, მოხუცი დედა მოინახულა და 1914 წლის მაისში ისევ გერმანიაშია, ამჯერად მიუნხენის უნივერსიტეტში.

### მიუნხენის უნივერსიტეტი

მიუნხენში ახალგაზრდა მწერალმა გაიცნო ქართველოლოგი ფრიც ჰომელი, თარგმნა თომას მანის ერთი ნოველა, რომელიც მოკრძალებული ბარათით ამცნო დიდ მწერალს. თომას მანმა გამსახურდია თავისთან მიიწვია. ამ დიდმა მწერალმა, სამწუხაროდ, მხოლოდ გამსახურდიას პირადი გაცნობის შემდეგ შეიტყო ქართველებისა და საქართველოს შესახებ. თომას მანისთვის თარგმნა კონსტანტინემ ვაჟას „გველისმჭამელის“ დასაწყისი. გერმანელი მწერლის გაცნობამ ქართველი სტუდენტი შესაძლო უგზოუკვლოდ დაკარგვას გადაარჩინა.

1914 წელია. ჰაერში დენთის სუნი უკვე ტრიალებს. სარაევოში დამბაჩიდან გასროლილმა ტყვიამ და ბოსნია ჰერცოგოვინას მემკვიდრე, პრინც ფერდინანდის დაღუპვამ სათავე დაუდო ისეთ მოვლენებს, რომელმაც ევროპის ყველა კუთხეში ოჯახების ბედი უკუღმა დაატრიალა.

დაიწყო I მსოფლიო ომი.

მსოფლიო ომის ავანსცენაზეა იდგა გერმანია და რუსეთი.

გერმანიაში დაიწყო მოკავშირეების – რუსი, ფრანგი და ინგლისელი სტუდენტების – დაჭერები, დახვრეტები.

კონსტანტინეს მოსდის რუსეთის ელჩის დეპეშა, დაბრუნებულიყო უკან და დაეცვა მამულისა და მეფის ღირსება.

არც თქვენი მამულია ჩვენი მამული და არც თქვენი მეფეა ჩემი მეფეო. კონსტანტინე გერმანიაში დარჩა იმ იმედით, არც რუსი ვარ, არც ფრანგი და არც ინგლისელიო. მაგრამ ბედის ირონია ის იყო, რომ რუსის მეფეთა და გენერალთა პორტრეტების ჩამომგლეჯი და დამფხრეწი, ახლა გერმანელებმა დაიჭირეს, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი...



### კონსტანტინე გამსახურდიას მეორედ დაპატიმრება. საკონცენტრაციო ბანაკი

ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკები იმდენჯერ არის აღწერილი მემუარულსა თუ მხატვრულ ლიტერატურაში, იმაზე ყურადღების გამახვილება, თუ რა პირობები დახვდებოდა მწერალს იქ ალბათ, არც ღირს. მის ყმაწვილკაცობაში, ალიხანოვ-ავარსკის ლაშქრობის დროს რომ ხუმრობდნენ, ალიხანოვი სახლს თუ გადამიწვავს, შიშით გული გაუსკდება, ტილები სულ ტკიცინ-ტკიცინს დაიწყებენო, აქ სახუმაროდ აღარ იყო საქმე. ტილები ციხის დაუწველადაც ტკიცინებდნენ, ხოლო წყლიანი სუპიდან მწერთა კოლექციას ამოკრეფდი. ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, ბანაკი ბაბილონის გოდოლს რომ დამსგავსებოდა. ვის არ ნახავდით აქ ფრანგს თუ ინგლისელს, რუსს თუ ბელგიელს, ქართველს, სომეხს თუ უკრაინელს. რაც მთავარია, გერმანელებსაც. ერთ ღამეს დატყვევებული გერმანელები მოასხეს, რომელთაც ფრანკოფილობაში დასდეს ბრალი და კაცმა რომ თქვას, არც შემცდარან. ერთ გერმანელს, მაგალითად, ფრანგმა ტყვემ არ დაუჯერა, გერმანელების ჯაშუში რომ არ იყო და იმ გადარეულმა პასუხად ისეთი არგუმენტი ატაკა, წელები გადმოაყრევინა. აიღო გერმანელმა უზარმაზარი დანა, ფრანგი გამოშიგნა, წელები ხელზე დაიხვია და ფეხზე ამდგარმა „მარსელიოზა“ შემოსძახა. ამის შემხედვარე ფრანგი ტყვეები წამოცვივდნენ და მათაც „მარსელიოზა“ დასცხეს. მწერალი იმაზე აღარაფერს ამბობს, წელებგადმოგდებული მომაკვდავი ფრანგიც აძლევდა თუ არა აკომპანიმენტს.

შემოვარდნენ დარაჯნი და ადგილზე დაცხრილეს ეს იდეური ზვარაკნი ფრანგული რევოლუციისა.

სადაური სადა ვკვდები და ვისთვის ვკვდებიო, – ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ესლა აღმოხდა ნარს ამოფარებულ გაოგნებულ გამსახურდიას.

მეორე დღეს ტყვეები მინდორში გაირეკეს, ტყვიამფრქვევები ააკაკანეს და რომ ეგონათ, შემოდგომის ცივი მზის ქვეშ, ამ ტრიალ ველზე დასრულდება ჩვენი წუთისოფელიო, სროლა შეწყდა. ტყვეები ბანაკში მირეკეს და დახვრეტის იმიტაციის შემდეგ აცნობეს, თუ გუშინდელი ამბავი კვლავ განმეორდება, სიცოცხლე არცერთს აღარ გიწერიათო.

რამდენიმე თვის შემდეგ, ციხიდან გასული ერთი ტყვე პროფესორის მეშვეობით, გამსახურდიამ თომას მანს წერილი მიაწვდინა, – რუსის მეფის მტერი რუსის მეფის მტრების მიერ რატომ უნდა ვიტანჯებოდეო...

თომას მანის რეკომენდაციით კონსტანტინე გამსახურდია საკონცენტრაციო ბანაკიდან გაათავისუფლეს და სტუდენტის უფლებებში აღადგინეს.

### საზღვარგარეთული საგას დასასრული

1911 წლიდან 1923 წლამდე კონსტანტინე ევროპის ხან ერთ ქვეყანაშია, ხან – მეორეში, მაგრამ ის არ იყო ის კაცი, ევროპის ფილისტერულ ყოფას შეჰგუებოდა. მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილს ნოსტალგიის გრძნობა ღრღნიდა. „დიონისოს ღიმილის“ მთავარი პერსონაჟის, მსოფლიოს გზებზე მოხეტიალე კონსტანტინე სავარსამიძის სულის კივილი, მწერლის იმდროინდელი სულიერი მდგომარეობის გამოძახილიც არის: „ტაია შელია. მე მარტო ვარ ამ ულრან ტყეში... ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა... ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ ულრან ტყიდან... თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადი, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე. რადგან ყველა გზა ულევია და გაუვალი“. თუმცა სამშობლო მხოლოდ მონატრების საგანი როდი იყო იქ უცხოეთში კონსტანტინესთვის. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, სამშობლოსათვის ისიც დიდი სამსახური იყო, რომ 1919 წელს გამსახურდიამ I მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი 3500 ქართველი მოკრიბა და საქართველოში დააბრუნა.

ისიც გმირობის ტოლფასი იყო, გამსახურდია სამშობლოში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით 1921 წელს რომ ჩამოვიდა. მას გერმანიაში კომფორტული ცხოვრებისათვის უკვე გზა ხსნილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბრუნდება 2 წლის, 9 თვისა და 9 დღის დამოუკიდებლობის შემდეგ რუსთაგან იავარქმნილ საქართველოში, ქვეყანაში, საიდანაც დამპყრობელთაგან შეშინებული, ვისაც საით აქვს გასაქცევი, იქით გარბის. თავი რომ დავანებოთ „სიკვდილის ცელით“ აღბეჭდილ პოლიტიკურ ატმოსფეროს, სულიერ დეგრადაციას, ხალხს პური არსობისაც აღარ აქვს. აი, ერთი დოკუმენტი 1921 წლისა. 22 ივნისი. მწერალთა კავშირის სხდომის ოქმი №10.

სხდომას დაესწრნენ: აბაშელი, კოტეტიშვილი, ტაბიძე, რუხაძე, იაშვილი და აღლაძე. თავმჯდომარეობდა ა.აბაშელი, მდივანი ი.აღლაძე.

მოისმინეს განცხადებანი დახმარების შესახებ, დაადგინეს: მიეცეთ ორმოცდაათი ათასი მანეთი დუტუ მეგრელს, ან.ხოშტარიას. მ.აბრამიშვილს, შ.დადიანს, ზაქარია ჭიჭინაძეს, განდეგილს, იოსებ იმედაშვილს, სანდრო ცირეკიძეს, სოლომონ თავაძეს, ს.კლდიაშვილს, თეოფილე კეკელიძეს, კოწია გამსახურდიას.

ეს ის გამსახურდია გახლავთ, უცხო ქვეყანაში მილიონერ ბიძაშვილს რომ უარს ეუბნებოდა შეთავაზებულ ფულზე. ახლა კი იძულებულია მოწყალება მიიღოს. ამ სიაშია შალვა დადიანიც, სამეგრელოს დიდი თავადის, ნიკო დადიანის შვილიც... იქნებ 50000 მანეთი მოგეჩვენოთ დიდ ფულად. არა, ის წლებია, ერთი პურის საყიდლად ტომრით რომ უნდა წაგეღოთ ფული...

მიუხედავად ყველაფრისა, გამსახურდია სწორედ 1921 წელს ჩამოდის საქართველოში, როცა ყველაზე მეტად უჭირს ქვეყანას.

### კონსტანტინე გამსახურდიას მესამედ დაპატიმრება

აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ დასაჯა „გათავხედებული“ საქართველო ლენინმა; როგორ შემოუსიეს წითელი რუსეთის ავაზაკთა ბრბო საკუთარ სამშობლოს სტალინ-ორჯონიკიძე-მახარაძეებმა; როგორ ათოხნეს და გადათოხნეს ჩვენი ქვეყანა; როგორ დააყენეს სისხლის გუბეები; როგორ დაიწყეს პერმანენტული დაჭერები და დახვრეტები ქართველი მამულიშვილებისა. ასეთ ვითარებაში ტყეში გასულ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე არანაკლებ გმირობას იჩენდნენ რუსთაველის პროსპექტზე მოსიარულე საუკეთესო ქართველი ინტელიგენტები. არ გაგიკვირდეთ, ეს ის დროა, როცა წითელი იმპერია ჯერ კიდევ არ არის მყარი და იძულებულია ოპონენტები აიტანოს.

ცალკეულ მალემრწმენთა საპირისპიროდ, რომელნიც წითლებს ფეხქვეშ გაეგნენ, ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მტრულად შეხვდნენ.

კონსტანტინე გამსახურდია ულიანოვ-ლენინს წერს წერილს, რომელშიც, როგორც იტყვიან, ქვას ქვაზე არ სტოვებს.

ახალგაზრდა მწერალმა თბილისში ჯერ კიდევ ადრე დააარსა ჟურნალი „პრომეთე“ (მიაქციეთ ჟურნალის სათაურს ყურადღება), რომელშიც თანამშრომლობდნენ: იოსებ გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სიკო ფაშალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე. ასე რომ, 1921 წლისათვის იგი უცნობი გვარი და სახელი კი არ არის ქართული საზოგადოებრიობისათვის, პირიქით, ერთბაშად დგება პირველხარისხოვან მწერალთა და მოღვაწეთა ჯგუფში.

მისი საქმიანობა, ცხადია, ჩეკას ყურადღებიდან არ გამორჩენია, რისთვისაც მწერალი 1922 წელს დააპატიმრეს.

გთავაზობთ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის დოკუმენტს.

ოქმი №16
5 თებერვალი 1922 წელი

დაესწრნენ: ილია აღლაძე, გ.ტაბიძე, ობოლი მუშა, ია ეკალაძე. ვარლამ რუხაძე ლეო ქიაჩელი, კოკი აბაშიძე, გრიშაშვილი, არ.რუხაძე, კოტე მაყაშვილი

თავმჯდომარეობდა ლეო ქიაჩელი

განიხილეს: 6) კოწია გამსახურდიას დაპატიმრების გამო.

დელეგაციის არჩევა

დაადგინეს: მიენდოს აბაშელსა და გრიშაშვილს სთხოვონ ჩეკას თავმჯდომარეს გამსახურდიას განთავისუფლება.

გაიხსენეთ ზემოთ მოთხრობილი ამბავი. ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინეს სოციალ-დემოკრატი ძმის მეგობარი, გამსახურდიების ოჯახში რომ იმალებოდა მეფის მთავრობისაგან დევნილი.

ეს რა მთავრობისთვის ვიბრძოდიო, – ვინ იცის, რა მოწამლულ ხასიათზე მიდიოდა აბაშელი გრიშაშვილთან ერთად ჩეკას თავმჯდომარესთან.

მწერლების თხოვნამ იმჯერად გაამართლა, ისე როგორც მომდევნო 1923 წელს გაამართლა დატყვევებულ მიხეილ ჯავახიშვილთან დაკავშირებით. როგორც გითხარით, საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გამოუჩენია ბოლომდე ურჩხულის კბილები. რამდენიმე წელიც და მსგავს შემთხვევაში თხოვნასაც ველარ გაუბედავს ჩეკას ძეხორციელი.

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №98,99,100.

# რას მიირთმევდა ლენინი

## პოლიტიკური მოღვაწეობა

1893–1895 წლების დაძაბული ბრძოლის პერიოდში ლენინი და მისი თანამებრძოლები ძირითადად მშრალი საჭმელით იკვებებოდნენ. ორი–სამი წლის დროის შუალედში ლენინი ვოლგისპირეთის ძლიერი ახალგაზრდისაგან გადაიქცა გამხდარ, გაჩხიკინებულ ინტელიგენტად, რომელსაც გასტრიტი საშინლად აწუხებდა.

1895 წლის ბოლოს ლენინი პირველად დააპატიმრეს. თავიდან მისი მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ ციხის რეგულარულმა მდიდარმა კვებამ წვნიანი კერძებით თავისი გააკეთა და შემდგომში მისი გასტრიტი აღარც ახსენებდა თავს პატრონს. კიდევ უფრო უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა მას გადასახლებაში. კრასნოიარსკში იგი ხვდება კერძო სახლში სრული პანსიონით. მდიდარი რუსული სუფრა, სამჯერ, ოთხჯერ და ხანაც ხუთჯერ დღეში, ნამდვილი ციმბირული მენიუს თანხლებით (შჩი, სოკო, ხბოს, ცხვრის ხორცი, თევზი, ფაფა და სხვ.). ლენინი აღფრთოვანებული სწერს თავის ახლობლებს: „შესანიშნავად ვცხოვრობ, კვებით სრულიად კმაყოფილი ვარ. საერთოდ დამავიწყდა ჩემი კუჭის ტკივილის შესახებ და ვეჭვობ, რომ ოდესმე კიდევ გამახსენდეს“. გადასახლებაში თავს მშვენიერად გრძნობდა.

ლენინს და კრუპსკაიას ეგონათ, მთავარი იყო სუფთა ჰაერი, ცოტა მუშაობა და კარგი კვება. მაგრამ მათ არ ესმოდათ, რომ ის წვნიანი კერძები, რომელიც ასე უხვად იყო მათ რაციონში, მთავარ როლს თამაშობდა.

აი, რაც შეეხება კვერცხს, ის მათ მენიუში თითქმის არ იყო. რძის პროდუქტებიც საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ ისინი არ დომინირებდნენ. კრუპსკაიამ და დედამ მოაწყეს პატარა ბოსტანი. ადრეული გაზაფხულიდან ჰქონდათ საკუთარი თალგამი და ჭარხალი. აი ოხრახუშს კრუპსკაია არსად არ ახსენებს, ისევეროგორც ხახვს და ნიორს. გასაკვირი არ იქნება, რომ მისი ნათითხნი მხოლოდ ლენინს მოსწონდა, სხვა დანარჩენს კი სულაც არ ეპიტნავებოდა ასეთი სამზარეულო.



გადასახლების შემდეგ ლენინი გაემგზავრა ფსკოვს. ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ იგი შეშფოთებული ატყობინებდა დედასა და მეუღლეს, რომ ძალზე აწუხებს კუჭის ტკივილები და აპირებს, რომ სასწრაფოდ მიმართოს ექიმს.

1900 წლის ზაფხულში ლენინი წავიდა თავის პირველ ემიგრაციაში. მიუნხენში ის ცხოვრობდა ერთი გერმანელი დიასახლისის ოჯახში, რომელიც არცთუ კარგად ამზადებდა ისედაც დაბალკალორიულ და ძნელად გადასამუშავებელ საჭმელს (ვერმიშელი, მაკარონი). მაგრამ ლენინს კულინარიის არაფერი გაეგებოდა და ამიტომაც მორჩილად მიირთმევდა გერმანელი დიასახლისის მომზადებულ საჭმელს. ფაქტიურად იგი იკვებებოდა დღეში ერთხელ. ისე გამოდიოდა, რომ მას ციხეში უკეთესი კვება ჰქონდა, რომ აღარაფერი ვთქვათ გადასახლების უნაკლო რაციონზე.

ლ.ბ.დეიჩი 1930 წლის მაისში წერდა: „მახსენდება, რომ კატორღაში ყოფნის დროს ჩვენ გვეძლეოდა ორნახევარი ფუნტი (1 კგ. (!)) პური, 136 გრ. ხორცი, ბურღული, ხილი, ლორი, მწვანილი და სხვა...“, რომ „ხორცის კატორღული ნორმა“ თვეში შეადგენდა 3,5 კგ.–ს, მაშინ, როდესაც 1930 წელს სასურსათო ბარათებით რიგდებოდა 1,5 კგ.ხორცი.

1901 წელს კრუპსკაია ჩავიდა ქმართან და ნახა, რომ მისი მდგომარეობა ძალზე არასასურველი იყო. მან სცადა, როგორმე გამოესწორებინა კვების საქმე. დაიწყო წვნიანი კერძების მომზადება. სალამოს ჩაის სვამდნენ. თუ სასწრაფოდ წაიხემსებდა სადმე, ლენინის მენიუ იყო ყოველთვის რძის პროდუქტები.

ლონდონში იმდენად ცუდი კვება ჰქონდა, რომ ეს კულინარიაში „გაუნათლებელმა“ ლენინმაც კი იგრძნო, ამიტომაც იძულებული იყო, საკვები ეძებნა ბარებში, ლუდხანებში, იქ სადაც შესაძლებელი იყო კვერცხის, ბეკონისა და ლუდის შეკვეთა.

არც 1903 წელს ჟენევაში გადასვლას მოუტანია რაიმე ახალი ლენინის კვების საქმეში. კრუპსკაია წერდა: „ერთი შვეიცარიელი მუშა გვირჩევდა, რომ ტურისტებთან კი არა, მუშებთან ერთად გვესადილა, სადაც კერძები უფრო ნოყიერი იყო და გაცილებით იაფიც ჯდებოდა“.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ლენინს მოუხდა მეორე ემიგრაციაში წასვლა. ეს მოგზაურობა ულიანოვებისათვის ტრაგიკულად დაიწყო. ერთ რესტორანში ორივენი ისე მოიწამლნენ თევზით, რომ ძლივს მიაღწიეს სახლამდე. მოუწიათ ექიმის გამოძახება, რაც საშინლად არარეკომენდირებული იყო მათი არალეგალური სტატუსის პირობებში. მათი პასპორტები ხომ ყალბი იყო. მდგომარეობა იმითაც გამწვავდა, რომ ლენინმა, რომელსაც პასპორტში ეწერა, რომ იგი ფინელი მზარეული[sic]ა, არცერთი საჭმლის დასახელება არ იცოდა წესიერად. ამან დააეჭვა გამოძახებული ექიმი და ამ უკანასკნელმა ეს გარემოება იმისათვის გამოიყენა, რომ მათთვის დიდი ჰონორარი დაეტყუა. ამის შემდეგ მათი ფინანსური მდგომარეობა ძალზე შეირყა.

რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ლენინს ისევ „გლეხურ“ საკვებზე მოუწია გადასვლა. ლენინი დააპატიმრეს, როგორც რუსი და ჩასვეს ციხეში პრომიოს მახლობლად. მასთან ისეთივე მიჰქონდათ ამანათები, როგორც პოლონელი გლეხებისათვის – ლორი, შავი პური, მარილი. კამერის მეზობლებიც არ არჩევდნენ ლენინს დანარჩენი გლეხებისაგან. მას დაარქვეს „ბიჩი ხლოპ“, ანუ კაცი ხარის კისრით. განთავისუფლების შემდეგ ისინი ნეიტრალურ შვეიცარიაში გადაბარგდნენ. ისევ სტუდენტისმაგვარი ცხოვრება. ლენინი დადიოდა ალპების ფერდობებზე და სოკოს კრეფდა. 1916 წელს ისინი ლუცერნში გადავიდნენ საცხოვრებლად. აქ კარგი დიასახლისი შეხვდათ. კვება კარგი ჰქონდათ, მაგრამ ისეთი პუბლიკა იყო გარშემო შეკრებილი, რომ კრუპსკაია ილიჩს აძალებდა, სხვა ადგილას გადასულიყვნენ. რაღაც ძალიან შეაწუხეს ლენინი „პროსტიტუტკებმა“.

**გაგრძელება იქნება**

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №98.

## გვემუქრებიან, ბატონებო!

„საქენერგო“–ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოდან „იფრინდა“–ს აცნობეს, რომ მ.წ. 9 თვეში ქსელს სარეალიზაციოდ მიეწოდა 3481,8 მლნ. კვტ. სთ. ელ.ენერგია, 103517.3 ათასი ლარის თანხით. რეალიზაციამ შეადგინა 69126,0 ათასი ლარი ანუ 66,8% დებიტორულმა დავალიანებამ მიაღწია 190999,5 ათას ლარს.

პრეზიდენტის 1997 წლის 10 ივნისის №304 ბრძანებულების მეოთხე პუნქტის თანახმად, ქალაქებისა და რაიონების გამგებლებს, მუნიციპალურ ენერგოკომპანიებს ევალებათ ელ.ენერგიის მოხმარების დამტკიცებული ლიმიტების უმკაცრესი დაცვა.

რიგმა ქალაქებმა და რაიონებმა სექტემბერში ვერ უზრუნველყვეს მათზე გამოყოფილი ელ.ენერგიის სიმძლავრისა და ენერგიის ლიმიტების დაცვა. კერძოდ, თბილისს ლიმიტით უნდა მიეღო 49737 ათასი კვტ.სთ, ფაქტიურად მიიღო 127438 ათასი კვტ.სთ. ე.ი. 9838 ათასი კვტ.სთ–ით გადააჭარბა. გადახარჯვებია ასევე იმერეთში, სამეგრელო–ზემო სვანეთში, შიდა და ქვემო ქართლში.

ლიმიტის გადახარჯვის შემთხვევაში, „საქენერგო“ იძულებულია მთლიანად შეუწყვიტოს ელ.ენერგიის მიწოდება გადამხარჯველ ქალაქებსა და რაიონებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადახარჯვის უფრო დიდ მასშტაბებს ექნება ადგილი. (იფრინდა)

# დიდი აბრეშუმის გზა ანუ ჩინებული, საჩინო

ჩვენს პერიოდულ პრესაში დღეს ხშირად იწერება დიდი აბრეშუმის გზის თაობაზე; იგი ჩინეთიდან ამიერკავკასიაზე, კერძოდ, საქართველოზე გადიოდა. ამ ისტორიულ ფაქტზე ხშირად იმიტომაც საუბრობენ, რომ საქართველოა სწორედ ის ქვეყანა, რომელსაც ხელეწიფება კვლავ გახსნას საგზაო დერეფანი, როგორც ახლო აღმოსავლეთის, ასევე შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებსა და დასავლეთის მრავალრიცხოვან სახელმწიფოებს შორის.

ეს უმნიშვნელოვანესი და ისტორიულად რეალური მოვლენა დღეს არაერთგზის უნდა შეახსენებდეს ჩვენს არაკეთილმოსურნე დიდსა თუ მცირე მეზობელ ქვეყნებს, რომ, სურთ თუ არა, უნდა გაითვალისწინონ საქართველოს გეოგრაფიულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა (ანუ, როგორც იტყვიან, ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილე).

დასაწყისში ვთქვით, რომ ამის თაობაზე ხშირად იწერება პრესაში და განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სწორედ ჩინეთ–საქართველოს ურთიერთობებზე შორეულ წარსულში. ამაზე საუბარი, მისი მტკიცება, რასაკვირველია, პირველ რიგში, ისტორიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს; ასევე, თუკი სხვა, შემოვლითი საშუალებები არსებობს (ვთქვათ, თქმულებები, ლეგენდები და ა.შ.), ესეც კეთილი და პატიოსანი, მაგრამ იქმნება მძიმე სურათი, როცა ხალხური ეტიმოლოგიის დონეზე ხდება ამ ფაქტების კონსტატაცია. პრესაში გამოქვეყნებული წერილების ბევრი ავტორი დაბეჯითებით წერს, რომ ქართულ ენაში არის სიტყვები (ლექსიკური პლასტები), რომლებიც ჭეშმარიტად ასახავენ შორეულ ისტორიულ რეალობას და რომ ჩინურ-ქართულ მჭიდრო ისტორიულ ურთიერთობათა უტყუარი მაგალითია ქართულში ამ სიტყვათა არსებობა (ანალოგიურად, ჩინურში ქართული პლასტიც არის საძებნი (!)).

ზაფხულში, თუ არ ვცდები, ივლისში, საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა მსოფლიოს ერთ–ერთი სუპერსახელმწიფოს – ჩინეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, რომელიც მიესალმა ჩვენს ქვეყნებს შორის აღორძინებულ (?) დიპლომატიურ, კეთილმეგობრულ და საქმიან ურთიერთობებს. რასაკვირველია, ითქვა დიდი აბრეშუმის გზის თაობაზეც, რომელიც საქართველოს გავლით გადიოდა დასავლეთში.

ამ გამოსვლაში გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ პატივცემულმა ელჩმა ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ და ენათმეცნიერულ „აღმოჩენამდე“ მისული სიტყვები ახსენა. ეს სიტყვები ჩინ–ეთ ეთნონიმთან ყოფილა დაკავშირებული: ჩინ-ებ-ულ-ი, სა-ჩინ-ო.

როგორც ჩანს, (როგორც ჩინს) ელჩს ის ენათმეცნიერული ქინით შეპყრობილი ქართველი კონსულტანტი ჰყავდა, რომელმაც ამხელა ქვეყნის დიპლომატს თავის ოფიციალურ გამოსვლაში არასასურველი (მცდარი) ფორმულირება გააკეთებინა.

გასაგებია, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველნაირ ღონეს ხმარობს, რათა დასაბამითვე კეთილსასურველი, მყარი და მართლგონივრული ურთიერთობები დამყარდეს ორ ქვეყანას შორის; მაგრამ რა საჭიროა ისტორიულ ურთიერთობათა დადასტურება ყალბი, არასწორი, მოჩვენებითი, მით უმეტეს, ენათმეცნიერულად სრულიად გაუმართლებელ მასალათა საფუძველზე? მითუმეტეს, რომ ეს ჩვენი ქვეყნის მაღალი სამეცნიერო სკოლისათვის ჩრდილის მიყენებაცაა.

ახლა, რაც შეეხება სიტყვებს: ჩინებულსა და საჩინოს არავითარი კავშირი არა აქვთ ეთნონიმ ჩინეთთან. ისინი ქართული წარმოშობის, ფუძეში ხმოვანმონაცვლე სიტყვებია (ე//ი//ა) ჩენ (გამო–ჩენ–ა), ჩინ (გამო–ა–ჩინ–ა) ჩან (ჩან–ს); ზოგჯერ ხმოვანი მთლიანად იკუმშება: ჩნ (ჩნ–დებიან, გამოჩნდნენ) და სხვ. ანალოგიური მაგალითების მრავლად მოხმობა შეიძლება ქართულში: წმენდს – წმინდა, ფრენს – (გა)ფრინდა), გრეხს – გრიხა, ჭყლეტს – ჭყლიტა, (ა)მხელს – (ა)მხილა და სხვ. დიდი ფიქრი არაა საჭირო იმისთვის, რომ ეს ფუძე (ჩინ) ფონეტიკურ–სემანტიკურად დაკავშირებულია გამოჩენა// გამოჩინებასთან და სრულიად გამორიცხულია მისი ეთნონიმ ჩინეთთან გასაიგივებლად. ჩინ-ებ–ულ–ის ანალოგიური წარმოება საკმაოდ გავრცელებულია ქართულში: (გა)მხელა – მხილ-ებ–ულ–ი; (გა)დენა– (გა)დინ–ებ-ული; (მი)ვლენა – (მი)ვლინ–ებ-ულ–ი; (გან)დიდება – (გან)დიდ-ებ–ულ–ი და სხვ.

ანალოგიურადვე უნდა განვიხილოთ სიტყვა სა–ჩინ–ო, რომელიც იმავე ძირთანაა ფონეტიკურ–სემანტიკურად დაკავშირებული და სიტყვა გამოსაჩენს (ის, რაც ჩანს) უახლოვდება აზრობრივად.

საგაზეთოდ დაწერილი ეს მცირე შენიშვნა, ვფიქრობთ, მაინც უნდა გაკეთებულიყო, სხვა დროს ასეთი იალღიში არც ჩვენ და არც სხვას რომ არ ჩავადენინოთ.

**ელიშერ სარიშვილი**

## გროზნო საქართველოს მიმართ თავის კეთილგანწყობას აფიქსირებს

ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი ვახა არსანოვი, რომელიც 14 ოქტომბერს გვიან საღამოს ჩამოვიდა თბილისში არაოფიციალური ვიზიტით, გუშინ ახმეტის რაიონში გაემგზავრა, ეთნიკურ ჩეჩნებთან შესახვედრად, შემდეგ, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღოს, - უთხრა პრაიმ-ნიუსს ჩეჩნეთის გენერალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ხიზრი ალდამოვმა.

თბილისის აეროპორტში ჩამოსვლისას არსანოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „მოხარული იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრით".

არსანოვი 14 ოქტომბერს მიიღო აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა და განიხილეს ნავთობის სფეროში თანამშრომლობის საკითხები. აქედან გამომდინარე, დამკვირვებელთა აზრით, ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი, ალბათ, ნამდვილად გამართავს დაუგეგმავ შეხვედრას საქართველოს პრეზიდენტთან, სადაც საუბარი შეეხება რეგიონალური თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებს.

14 სექტემბერს ვახა არსანოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო, სადაც ჩეჩნეთის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ აფხაზეთს გროზნო განიხილავს, როგორც საქართველოს შემადგენელ ნაწილს.

ჩეჩნეთის დამოკიდებულებების ტრანსფორმაციას, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს აფხაზების გვერდით იბრძოდა საქართველოს სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ და დღეს საქართველოსთან დაახლოების გზებს ეძებს, დამკვირვებლები ურთიერთხელსაყრელი პროექტების განხორციელების პრაგმატულ სურვილს უკავშირებენ. საუბარია ჩეჩნეთის სურვილზე, გამოიყენოს საქართველოს მდებარეობა ფოთისა და ბათუმის პორტებზე გასასვლელად. ამავე დროს, ოფიციალურმა თბილისმა არაერთხელ განაცხადა, რომ იჩქერიას რუსეთის ფედერაციის სუბიექტად განიხილავს და არ სურს მოსკოვის გაღიზიანება. (პრაიმ-ნიუსი)

## კულიკოვი დელიში ჩავიდა

გუშინ რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრი ანატოლი კულიკოვი ინდოეთის დედაქალაქ დელიში ჩავიდა, სადაც ინტერპოლის საერთაშორისო თათბირში მიიღებს მონაწილეობას. (ბეა)

# ბარბაროსობის სუნთქვა

## ძალადობა და ცივილიზაციური კრახი რუსეთში

### ვლადიმირ კანტორი

აჯანყება - ეს არის სახელმწიფოს ევროპიზაციის კურსზე გამოვლენილი რეაქცია, რომელიც ხალხის მდგომარეობის დამძიმებისკენ მიდიოდა საბოლოოდ. რუსული კულტურის მოდელი ძალზე რთულია გასაგებად. ვთქვათ, ლოტმანის მიხედვით, ის არის „სივრცე ჯერ არ არის და უკვე არ არის შორის". ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან კავშირში ეს ნიშნავს, რომ მესამე ტიპის ძალადობა უკვე აღარ იყო ბარბაროსული, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიჰყავდა ხალხის დამცველი სტრუქტურების შექმნისაკენ. აკლდა ცივილიზაციური ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ერთი რგოლი - პიროვნების ღირებულებების შესახებ წარმოდგენა, სხვისი ბედის გაგების ცნება და მასთან შეთანხმების აუცილებლობა. ეს კი იქიდან მოდიოდა, რომ თვით საკუთარი პიროვნების ფასის შესახებ არ არსებობდა წარმოდგენა. „შენ ხარ" არ არსებობდა, იყო „თქვენ არსებობთ"..

#### ბოლშევიზმი და ფაშიზმი

სწორედ ამ ატმოსფეროში ხდება ოხრანკისა და რევოლუციონერების „შეზრდა" ერთმანეთზე. რევოლუციონერი, როგორც ასეთი, წარმოადგენს ძალადობის პროვოკაციას. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ევროპის „ევროპიზაცია". დასავლეთშიც იყო ნიჰილიზმის გრძნობის გარკვეული დონე, გერმანული ფილოსოფია, ფრანგული და ავსტრიული ესთეტიკა. ცივილიზაციის წინააღმდეგ ნიჰილიზმის გამოსვლას ფართო მასშტაბი ჰქონდა საუკუნეთა მიჯნაზე. ალბათ, ეს იყო ბარბაროსული ძალების ბოლო გაბრძოლება. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ყველაზე არქაული ქვეყანა - რუსეთი. შემდეგ მას ევროპელებიც შეუერთდნენ - იტალია, გერმანია, ესპანეთი. მაგრამ რუსეთმა პირველმა გამოიყენა ძალადობა რადიკალური საშუალების სახით ცივილიზაციური პროცესების შესაჩერებლად.

პოლიციური პროვოკაციები რევოლუციურ ტერორს იწვევდა, რომელიც თვითმპყრობელობის იდეოლოგებს სჭირდებოდათ ევროპული თავისუფლების იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ. კარაკოზოვის ცნობილი სროლა ალექსანდრე II-სთვის სინამდვილეში საიდუმლო პოლიციის ნამუშევარი იყო (ეს ცნობა ეკუთვნის რუსული ისტორიის პროფესორს ნ.ი.ციმბაევს) და რეფორმების შეჩერების საბაბს წარმოადგენდა.

ხელისუფლება და თავადაზნაურობა ცდილობდნენ „შავი რაზმის" შექმნას რევოლუციონერების საწინააღმდეგოდ. მაგრამ, როგორც წესი, აჯანყების პირველ პერიოდში ოპოზიციური ძალები იმარჯვებენ ხოლმე. ბოლშევიკებმა კარგად აითვისეს ბარბაროსული მეთოდოლოგია და აშკარად უგულებელყვეს ცივილიზაციის ნორმები. ლენინი გაოცებით ამბობდა: „როგორ შეიძლება რევოლუცია დახვრეტების გარეშე?.. განა არსებობს რეპრესიების სხვა ზომები? ციხეში დაჭერა? ვის აინტერესებს ის სამოქალაქო ომის დროს, როცა ორივე მხარე გამარჯვებას ლამობს?"

ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო იყო ისეთი ხალხის მონახვა, ვინც შეძლებდა დაუნდობლად ემოქმედა უკანონობის დასამკვიდრებლად, კრიმინალური - ბარბაროსული ფსიქოლოგიის მქონე ადამიანები, ვითვისაც უცხო იყო ადამიანის სიცოცხლის ღირებულება. ასეთი ადამიანები მოიძებნებოდნენ და ისინი, სხვათა შორის, მრავლად იყვნენ. მათი ბოროტება ცივილიზებული ადამიანის წარმოდგენის ზღვარს სცილდებოდა.

1918 წლის პეტერბურგის ცხოვრების ერთ ეპიზოდს მოგიყვანთ. მიმდინარეობდა მძევლად მიჩნეული ოფიცრებისა და ინტელიგენციის მასობრივი დახვრეტა. და აი ჩანაწერი დღიურში: „ახლახანს დახვრიტეს პროფესორი ნიკოლსკი. მის საკუთრებას და შესანიშნავ ბიბლიოთეკას კონფისკაცია გაუკეთეს. მისი ცოლი გაგიჟდა. დარჩნენ 18 წლის გოგონა და 17 წლის ვაჟი. ვაჟი ამ დღეებში „ვსეობუჩში" (საყოველთაო სამხედრო სწავლება) გაიწვიეს. იგი გამოცხადდა. იქ კომისარმა ხითხითით უთხრა: „იცით სად არის თქვენი მამიკოს ცხედარი? ჩვენ ის მხეცებს დავუგდეთ საჭმელად (რა ხუმარები არიან ეს კომისრები)".

ზოოპარკის ცხოველებს ჯერ კიდევ თბილი ცხედრებით კვებავენ. პეტრე-პავლეს ციხე ახლოა, მართალია, მაგრამ ადრე ასეთ რამეს ნათესავებს მაინც არ უცხადებდნენ.

საიდან მოდიოდნენ ამგვარი პერსონაჟები? „ახალი ადამიანები იყვნენ ვითომ, რომლებიც ბოლშევიკურმა რეჟიმმა შექმნა? ამისათვის ნამდვილად არ იქნებოდა საკმარისი დრო: ერთი წელიც არ იყო გასული ახალი რეჟიმის დაბადებიდან, მაშ საიდან?

საიდან მოდიოდნენ რუსი რევოლუციონერ-ტერორისტები: ნეჩაევები, ტკაჩოვები, ჟელიაბოვები? ჯერ კიდევ პობედონოსცევი შენიშნავდა, რომ 60-იანი წლების რეფორმების დროს კუსტარული მეწარმეები ტოვებდნენ ფაბრიკებს და რევოლუციაში ერთვებოდნენ - როგორც წესი, ტერორისტებად. ნეჩაევი სწორედ კუსტარული „ბიზნესის" წარმომადგენელი იყო. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დამატებას, რომ ახლადდაწყებულმა კაპიტალიზაციამ ტრადიციული საზოგადოებიდან გამოდევნა მასები და გადააქცია ისინი პროლეტარებად, უქონლებად, ტრადიციული შეგნებისაგან „გაანთავისუფლა" ისინი. მსგავსი პროცესები მიმდინარეობდა გაცილებით ევროპიზირებულ ქვეყნებში, გერმანიაში, იტალიაში, რაც რუს რადიკალებს იმის საშუალებას აძლევდა, რომ თავისი მისწრაფებები ევროპულ მიმდინარეობად გაესაღებინათ. არნახულ პოპულარობას მიაღწია ისეთმა ანტიბურჟუაზიულმა თეორიებმა, როგორებიცაა ანარქიზმი, კომუნიზმი.

ტოტალიტარიზმი აძლიერებს მესამე ტიპის ძალადობას. „აგრესიული" და „ლპობადი" დასავლეთის სახით წარმოდგენილი ცივილიზაცია, ტრადიციული ტოტალიტარული საზოგადოებებისათვის წარმოადგენს რაღაც უცხოს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების მტერს. მაშასადამე, ამ ცივილიზაციის წარმომადგენლების მიმართ საჭიროა ძალადობა. ამიტომაც ყველა ტოტალიტარულ საზოგადოებაში ძალადობა გამართლებულია იდეოლოგიურად. ალბათ, ღირს ურიცხვი პოლიტიკური პროცესების გახსენება, რომლებიც რუსეთში, გერმანიაში, ფუნდამენტალისტურ ირანში იმალებოდა. ამ სამყაროში ძალადობის განმასახიერებელი ადამიანი - გმირია. მისი მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცივილიზაციური სამართლის ნორმების გარეთ მოქმედებს. აი ნაწყვეტი მოგონებიდან, რომელიც იმ ადამიანს ეკუთვნის, ვინც საბჭოთა დიქტატურის პირველ წლებში სასამართლოს ტრიბუნიდან ადამიანთა დაცვას აწარმოებდა: „...ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და შესაძლებელი შედეგის შესახებ მსჯელობდნენ. ერთ ჯგუფთან მივიდა პეტერსი და უთხრა: „რატომ ღელავთ, ეს ყველაფერი ზედმეტია, არც დაცვისა და არც ბრალდების ასეთი თავდადება არაა საჭირო". ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით, გვიპასუხა: „რა უნდა ქნათ? უნდა მოიტანოთ ტყვიამფრქვევი და მორჩა. იგივე შედეგი იქნება". საბჭოთა იუსტიციისა და „ჩეკას" წარმომადგენლებს ერთი და იგივე აზრი ჰქონდათ: „სასამართლო საჭირო არაა".

გასულ საუკუნეში რუსი კონსერვატორი მიხეილ კოტკოვი თავის სტატიაში „რუსული სასოფლო თემი" შენიშნავდა, რომ „რაიმე მაგიურმა ძალამ რომ დაისახოს მიზნად მათი ფანტაზიის რეალობად გადაქცევა, მოხდებოდა სრულიად მოულოდნელი რამ, დაუყოვნებლივ ის დრო დაბრუნდებოდა, როდესაც პირველი ადამიანები ცხოვრობდნენ, საიდანაც ასე წვალებითა და ტანჯვით გამოვიდა კაცობრიობა. გამოჯანმრთელების მაგივრად ავადმყოფობა უფრო გართულდებოდა. საკუთრების ძალადობის გამოყენებით გაყოფა აალორძინებს ბარბაროსობას, ომებს, ადამიანთა გადასახლებას უცხო ადგილებში, კაცობრიობას დააბრუნებდა ძველ გზაზე..."

„ძველ გზაში" კოტკოვი გულისხმობს ცივილიზაციის განვლილ გზას. მაგრამ აქვს კი უნარი ჩვენს საზოგადოებას თუნდაც ამ გზაზე ხელახლა დადგომისა?

თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სულ სხვა სტატია არის საჭირო.

დასასრული. დასაწ. „საქართველო" №93-100.

## კვლავ რუსი სამხედროები აიყვანეს მძევლად

ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის საზღვარზე მდებარე მალგობეკის საგუშაგოდან უცნობმა პირებმა იარაღის მუქარით რუსეთის არმიის ერთი სერჟანტი და ორი რიგითი გაიტაცეს.

როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, მანქანა, რომლითაც მძევლები წაიყვანეს, ინგუშეთის ტერიტორიის გავლით ჩეჩნეთისაკენ წავიდა. ვარაუდობენ, რომ გატაცებულებს გროზნოში ჩაიყვანდნენ და იმ ბანაკში მოათავსებდნენ, სადაც ტყვედ აყვანილი რუსი სამხედროები ჰყავთ განთავსებული. (ბეა)

## „ტოიოტას" ახალი მოდელი

იაპონურმა ფირმა „ტოიოტამ" სამშაბათს განაცხადა, რომ გაყიდვაში უშვებს ავტომობილს, რომელიც ერთდროულად ბენზინის ძრავითაც და ელექტრომოტორითაც არის აღჭურვილი.

„სედანი" სახელწოდებით - „პრიუსი", რომლის ფასია 18 ათასი დოლარი, გაყიდვაში გამოვა მიმდინარე წლის დეკემბერში. ასეთი მანქანები თავდაპირველად თვეში ათასი ცალი იქნება გამოშვებული. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, სხვა უპირატესობებთან ერთად ახალი ავტომობილისათვის დამახასიათებელია ის, რომ ორივე ძრავის ერთდროულად მუშაობისას ატმოსფეროში გამონაბოლქვი მავნე გაზების რაოდენობა ათჯერ მცირდება. (ბეა)

## გაერო და მსოფლიო

გაერომ მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს მოუწოდა, რომ გაზარდონ ინვესტიციები განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში.

გაეროს ექსპერტების მონაცემებით, ყოველწლიურად სხვადასხვა სასურსათო პროგრამებზე იხარჯება 166 მილიარდი დოლარი. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, გაეროს ხელმძღვანელობის კეთილი ნების მიუხედავად ასეთი მოწოდებები განვითარებულ ქვეყნებში გაღიზიანებას გამოიწვევს, რადგან განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში ჩადებულ ინვესტიციებს აქამდე საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია. (ბეა)

## ტერაქტი კოლომბოში

გუშინ შრილანკის დედაქალაქ კოლომბოს ცენტრში მომხდარი აფეთქების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა და 100-მდე დაშავდა

კოლომბოს პოლიციის მონაცემებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა დამონტაჟებული იყო ხალხმრავალ ადგილზე დაყენებულ სატვირთო ავტომობილში. დაზარალებულთა უმრავლესობა უცხოელი ტურისტები არიან. პოლიცია ვარაუდობს, რომ აფეთქება თამილმა სეპარატისტებმა განახორციელეს, რომლებიც შრილანკის ჩრდილოეთში თამილთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მოითხოვენ. (პრაიმ-ნიუსი)

# ასლან აბაშიძე მოვალეობის შესრულებას შეუდგა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე თვენახევრიანი შესვენების შემდეგ მოვალეობის შესრულებას შეუდგა. გუშინ იგი აჭარის უზენაესი საბჭოს პირველი საშემოდგომო სესიის პირველ სხდომას გაუძღვა.

სესიის დაწყება უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო გადაიდო. ამჟამად ასლან აბაშიძე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დასუსტებულია, მაგრამ ენერგიულად გამოიყურება, – იუწყება პრაიმ-ნიუსის ბათუმელი კორესპონდენტი.

ასლან აბაშიძეს მიმდინარე წლის 27 აგვისტოს ქალაქ სტამბულში გულის კუნთის შუნტირება ჩაუტარდა. აჭარის ლიდერმა 20 აგვისტოდან 8 ოქტომბრამდე პერიოდი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაატარა.

თავის გამოსვლაში ასლან აბაშიძემ დეპუტატებს გააცნო თურქეთში ყოფნისას ქვეყნის პრეზიდენტთან სულეიმან დემირელთან და პრემიერ-მინისტრთან მელსუდ ილმაზთან შეხვედრების შედეგები. ასლან აბაშიძემ აღნიშნა, რომ ამ შეხვედრებისას დაისახა ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივები.

ასლან აბაშიძე თურქეთში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსაზღვრე ვილაიეთების (თურქეთის რეგიონები) ხელმძღვანელებს შეხვდა, სადაც მათთან მომავალში ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხები განიხილეს.

სესიის გუშინდელ სხდომაზე აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს 9 წევრი. საბჭოს თავმჯდომარედ ხმათა უმრავლესობით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე აირჩიეს. იუსტიციის საბჭოს ფუნქციებში შედის მოსამართლეთა პროფესიონალიზმის დონის განსაზღვრა, მათი თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება. (პრაიმ-ნიუსი)



# ლეილა ცომაია სისტემატურად ითხოვს საჭმელს და უკვე 6 კილოგრამი მოიმატა

ექს-პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაახლოებით თხუთმეტი მომხრე ეცადა გუშინ საპროტესტო მიტინგის მოწყობას საქართველოს პარლამენტის შენობასთან 24 სექტემბერს პოლიციის მიერ დაკავებული „ზვიად განმათავისუფლებლის“ პარტიის ლიდერების ლეილა ცომაიასა და თამილა ნიკოლაძის მხარდაჭერის მიზნით.

ლეილა ცომაიამ და მისი პარტიის დაახლოებით ოცმა წევრმა 2“ სექტემბერს საპროტესტო მიტინგი მოაწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. მიტინგზე წარმოდგენილი იყო პლაკატები წარწერებით „ძირს შევარდნაძე“. პოლიციელებისაგან შევიწროებულმა მომიტინგეებმა ვარაზის ხევში გადაინაცვლეს. სწორედ აქ დააკავეს ცომაია და ნიკოლაძე, რომლებიც ტელევიზიის შენობისკენ წასვლას მოუწოდებდნენ საპროტესტო მიტინგის მონაწილეებს.

ცომაიას და ნიკოლაძეს ბრალდებად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევა წაუყენეს.

პარლამენტის შენობასთან ზვიადისტებს პოლიციელები დახვდნენ, რომლებიც რიცხობრივად რამდენჯერმე აღემატებოდნენ მომიტინგეებს. პოლიციელებმა ჩამოართვეს ზვიადისტებს პლაკატები და იძულებით გადაიყვანეს პარლამენტის საპირისპირო მხარეს.

იქვე, ქაშუეთის ეკლესიის ბაღში, პოლიციელთა გარემოცვაში მოეწყო ხანმოკლე მიტინგი, რომელსაც „ილია მართლის“ საზოგადოების წევრი ეთერ მგალობლიშვილი უძღვებოდა.

„ცომაია და ნიკოლაძე სასტიკად სცემეს დაკავების დროს“, – თქვა მგალობლიშვილმა და დასძინა, რომ საქართველოში „საპოლიციო რეჟიმია გამეფებული“.

მომიტინგეებთან ახლოს მყოფმა საქართველოს „ომონის“ შეფმა თემურ მღებრიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ცომაიას ნორმალურად ეპყრობიან, ისე კარგად იკვებება, დღეში სამჯერ, რომ უკვე 6 კილოგრამი მოიმატა წონაში“.

მიტინგის მცირერიცხოვნება მგალობლიშვილმა იმით ახსნა, რომ „ხალხს ეშინია ქუჩაში გამოსვლა ბოლო დროს მოხშირებული რეპრესიების გამო“.

ზვიადისტმა ქალბატონებმა პოლიციელები ამხილეს მათ მიმართ რამდენიმე მიტინგზე ფიზიკური ძალის გამოყენებაში, რაზეც მღებრიშვილმა ამაყად უპასუხა – „გვიჩვენეთ თუნდაც ერთი დალურჯებული ადგილი სხეულზე“.

ჟურნალისტებთან 20 წუთით დგომის შემდეგ ექს-პრეზიდენტის მომხრეები მერაბ კოსტავას სახლისკენ გაეშურნენ. პოლიციელები მყისვე თავის მანქანებში ჩასხდნენ და მომიტინგეებზე გაცილებით ადრე მივიდნენ კოსტავას ეზოსთან. (პრაიმ-ნიუსი)

# თიშვორდი



მხოხავ დაზვერვაზე: 1. ბულბულის მილიციაში მომუშავე ძმაკაცი (რუს.კავშ.); 6. ბოლმაზე გასატყავებელი ცხოველი; 9. ემალის ხერხიანი წყობა; 10. ვალდადებული ანაბეჭდი; 12. ქარიანი მისატანი; 13. ტანიანი სამხედრო მანქანა; 14. შარელის ფორმის გეომეტრიული სხეული; 17. ზღვისპირა კურორტი, რომელიც „ლიას“ არ ევასება; 18. ათჯერ სასურველი სათოხლაო; 20. ფეხსაცმელზე, ხეზე გაკრული მლიქვნელი; 22. ტაო-კლარჯეთში, ოპიზაში მოღვაწე ზარით მოთამაშე განთქმული ოქრომჭედელი; 23. ებრაელების ფიგარო; 24. ზოლიანი მწერალი; 25. „ლაითი“ სიგარეტის გამომშვები სოფელი გურიაში; 31. „საბრალდებო დასკვნას“ გადაყოლილი პატიმარი; 32. გობის ძმაკაცი; 33. ბალზე მჯდარი ბედი; 35. ბაქოში მოყვანილი მავნე მცენარე; 39. ნელი ის, რაც ჭრელ პეპელას უსურვებს; 40. დალის სარგაყრილი მეთაური; 41. დროის გასატარებელი დღესასწაული; 42. ჯამში ჩამძვრალი ჯიუტი, ხეპრე; 43. ათჯერ მოკაკანე მახე.

სარბადაყლაპული: 1. კუბის დატორილი უმი სანაშენე სათავსო; 2. წრეწირში მეტრული განზომილება; 3. დატორილი ინჟინერი; 4. მჟავე ყურძნის დამწუნებელი ცხოველი; 5. კეთილი უბანი; 6. სასმელი, რომელიც ვის უნდა და ვის არა; 7. ის, რაც ერთხელ პაპას აუფეთქდა; 8. ვირის მოყვარული საზიდი; 11. „ლიას“ მაფიოზური ქვეყანა; 15. თავის მქნევარა საჩაიე მცენარე; 6. როლში შეჭრილი ცურვის სტილი; 19. როგში ჩამდგარი ხარისხი, კატეგორია; 21. შარიანი ავი ადამიანი; 26. მამულის გამყოფი კაცი (ანდაზა – გამონათ); 27. ი) იაზე უარის მთქმელი ცხოველი; 28. ხ) ბარდის მჭამელი გაფრთხილება, მორიდება; 29. თ) გრეიპფრუტის ქართული ვარიანტი; 30. გასაჭრელი სანათი; 34. ბარდებში გაზრდილი მცენარე; 35. ტროპიკებში, ჯუნგლებში დაკიდებული ქალი; 36. ქართული თამბაქოს მოძმე მასალა; 37. ცხოველი, რომელსაც რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა; 38. სითხეგამტარი მანძილი; 40. ჭამასთან ერთად დიდად შესარგი.

## ნინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 1. ამნისტია; 2. არაკი; 3. არტელი; 4. აბორტი; 5. მხალი; 6. ტრილოგია; 9. აზნაური; 13. ძმარწყალი; 14. ჰარამხანა; 16. აგრესია; 17. ჭკვიანი; 22. ჰიპნოზი; 23. ხელმრუდი; 25. ინერგება; 28. ხოხობი; 29. ყნოსვა; 30. აკლია; 32. ჰაერი.

შვეულად: 7. ამირბარი; 8. აბეჩხარი; 10. ბირკა; 11. ოლოლი; 12. ალპინისტი; 15. აიაზმა; 18. ფანტია; 19. აგარაკი; 20. დაწერეთ; 21. სიმამრი; 24. ჰიგიენა; 26. ჯეჯილი; 27. ონკანი; 31. ყოყლოჩინა; 33. ხრიკი; 34. ჰანგი; 35. ედრიკება; 36. ქვიშრობი.

# ოსებმა ცხინვალის შესასვლელში საიმიგრაციო პუნქტი გახსნეს

ცხინვალის შესასვლელში უკვე ორი კვირაა, რაც იმიგრაციული პუნქტი ფუნქციონირებს.

იმიგრაციული კონტროლის თანამშრომლები პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა, ან არ ცხოვრობენ თვითალიარებული რესპუბლიკისა და მიმდებარე ტერიტორიაზე, ავალდებულებენ 25 ათასი რუსული რუბლის გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქალაქის ტერიტორიაზე არ ატარებენ.

ამ დროს, სამშვიდობო ძალების შერეული კონტინგენტი, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, აუქმებს თავის ძირითად საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ.

იმიგრაციული კონტროლის სახით შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენის მიუხედავად, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას უკვე ერთი კვირაა, რაც ელექტროენერგია არ მიეწოდება რუსეთის მხრიდან დავალიანების გამო. სამხრეთ ოსეთის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის გადასახადი, რომელიც დაახლოებით ათ მილიონ დოლარს შეადგენს, საქენერგოს ერიცხება, რომლის გადახდაზეც ეს უკანასკნელი თავს იკავებს.

ელექტროენერგიის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი გასულ კვირაში გაემგზავრა მოსკოვში, თუმცა, როგორც ჩანს, ცხინვალში ელექტროენერგიის გარეშე დაბრუნდა. (პრაიმ-ნიუსი)

იყიდება საუკეთესო გენეალოგიის მქონე კოლის (შოტლანდიური ნაგაზის) ლეკვები, სათანადო დოკუმენტაციით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 95-95-22

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444